



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 3326/01
01/04/2019

3326-01-2-201904011554



ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

დავით ქუტიბეს

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2019 წლის 26 მარტს შემოსული თქვენი #66 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. სს RMG Copper"-ის მიმართ, ნებართვის გამცემის - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის №1971/01 წერილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა №000904 ადმინისტრაციული მიწერილობა და დაუდგინდა ვადები დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ამასთან, კომპანიას სამინისტროს №1971/01 წერილის 9.3 და 19 პუნქტის შესაბამისად, დაევალა „მოკლევადიანი და გრძელვადიანი წყალდაცვითი ღონისძიებათა გეგმის“ და „მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის“ შემუშავება და სამინისტროში წარდგენა. ამასთან, ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვადების ამოწურვამდე, მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში გაწერილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში.

დღეს არსებული მდგომარეობით, სს RMG Copper"-ის მიერ შემუშავებულია და სამინისტროში წარდგენილია ზემოაღნიშნული გეგმები, სადაც აღწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი წყალდაცვითი და მტვრის ემისიის შემცირების ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ასევე, კომპანიის მიერ სამინისტროში წარმოდგენილია 2018 წელს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში გაწერილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

სს "RMG Copper"-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად, შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- კუდსაცავების ძირში მოწყობილია სანიაღვრე წყლების გამყვანი არხები;
- სანაყაროების მიმდებარედ გამონაჟონი წყლების ორგანიზებული მართვისთვის მოწყობილია ინფრასტრუქტურა;
- განხორციელდა გამწმენდი ნაგებობის პროექტირება;
- ამტვერების შესამცირებლად გზების მორწყვის პერიოდულობაზე, სეზონების მიხედვით ჩატარდა ექსპერიმენტი;
- შეძენილია სარწყავი ავტომატები;
- მდ. კაზრეთულას დაბინძურებისაგან დაცვის პროექტისათვის ჩატარდა საჭირო კვლევა;
- მდ. კაზრეთულას დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით შემუშავდა საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროექტი და განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები.

2. შპს „RMG Gold“-ის მიმართ, ნებართვის გამცემის - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 3 აპრილის №2654/01 წერილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა №000906 ადმინისტრაციული მიწერილობა და დაუდგინდა ვადები დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ამასთან, კომპანიას სამინისტროს №2654/01 წერილის შესაბამისად, დაევალა ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დროში დეტალურად გაწერილი ღონისძიებების/გეგმების შემუშავება და სამინისტროში წარმოდგენა. ასევე, დაევალა გეგმებში გაწერილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში.

დღეს არსებული მდგომარეობით, შპს „RMG Gold“-ის მიერ შემუშავებულია და სამინისტროში წარმოდგენილია „სამოქმედო გეგმა“, სადაც აღწერილია შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის შესასრულებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ასევე, კომპანიის მიერ სამინისტროში წარმოდგენილია 2018 წელს „სამოქმედო გეგმა“-ში გაწერილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

აქვე გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის მიერ ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული, მათ შორის „მოკლევადიანი და გრძელვადიანი წყალდაცვითი ღონისძიებათა გეგმით“, „მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმით“ და „სამოქმედო გეგმით“ გაწერილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, დღეს არსებული მდგომარეობით, არ განხორციელებულა. თუმცა, დეპარტამენტი, უახლოეს პერიოდში გეგმავს გადაამოწმოს დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

3. წარმოგიდგენთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ 2017 წლის ანგარიშს (დანართი 1).

რაც შეეხება დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიშს, ამჟამად მიმდინარეობს სტატისტიკური მონაცემების საბოლოო დამუშავება და აღნიშნული ანგარიში მოწოდებული იქნება უახლოეს დღეებში.

დანართი: დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიში - 27 ფურცლად (დანართი 1)

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი

